ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4496611

ნომერი: AR1672087

თარიღი : 01.04.2019

გაცემის თარიღი : 14.05.2019

გაცნობის თარიღი : 17.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პასტერი , N7-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზირი N140ბ/დავით აღმაშენებლის გამზირი N140-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მეჰმეთ თალი პ/ნ 01097001402
- თბილის ი.ჭავჭავაძის გამძ. N37 კორპ.1ა

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 362743 (№ 4433654 27/03/2019)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.09.2012

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფინქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ძიძიკაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ბესტ ბრენდ გრუპი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404462835
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მეჰმეთ თალი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01097001402

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 655.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 645.69
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2529.27
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 48.79
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1812.42
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 36.47
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 461.68
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 169.91
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 10192.16
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 8081.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2110.46
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 24.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 20.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 645.69/655=0.98
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2409.83/655=3.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 9.31/655=0.014

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 2446583
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.02.2016

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1700628
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.01.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის AR1672087 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პასტერის ქ. N7-ის მიმდებარედ; დავით აღმაშენებლის გამზ. N140ბ/დავით აღმაშენებლის გამზ. N140-ის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული

ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის უნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N18, 10.05.2019 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ტოპოგეგმაზე ნაჩვენები იქნეს ხაზობრივი ნაგებობები და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყების პოზიციები;
2. მშენებლობა განხორციელებულია შეთანხმებული პროექტის დარღვევით; წარმოდგენილი იქნეს პროექტი ყველა დარღვევის ასახვით და შესაბამისი ფოტომონტაჟები;
3. სარეკლამო აბრის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები; კერძოდ, მე–4 მუხლის მე-2 პრიმა პუნქტის მიხედვით, "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას". სარეკლამო აბრებზე ორენოვანი წარწერის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25-ე მუხლის, მე-3 პუნქტი. კერძოდ: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი– შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)“;
4. არ არის წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები კორექტირებასთან დაკავშირებით;
5. წარმოდგენილი იქნეს მშნებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.